

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

№ 509

შაბათი, ივნისი 30

1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 40,000

პირას, ივლისის 1, პარტიის მთავარ კლუბში მოწვეულია საქ. დემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის ტვილისის საქალაქო კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. პარტიული მუშაობა.
3. ტვილისის კომიტეტის ანგარიში.
4. მოხსენებანი ადგილებიდან.
5. მიმდინარე საკითხები.
6. არჩევნები ტვილისის კომიტეტის და სარევიზო კომისიისა.

დღევანდელს ირჩევს სარევიზო საზოგადო კრება.

ფრაქციები, ახალგაზრდათა კავშირი და სტუდენტთა ორგანიზაცია გზავნის თითო დელეგატს

სათათბირო ხმით.

კონფერენცია გაიხსნება დღის 11 საათზედ.

ტვილისის კომიტეტი.

ყოველი პარტიული კლუბის საზოგადოებრივი

ს. ჯავახიშვილის საღამო

- პროგრამა:
1. უმსავალი სიტყვა ალ. წერეთლის.
 2. ჟარგონი.
 3. საკონსერსო განკარგულება.
 4. დეკლამაცია

მონაწილეობენ:

- მხარეები:
- ს. აბაშელი,
 - ს. ფაშალიშვილი,
 - ოზოლი მუშა,
 - გ. ქუჩიშვილი,
 - დ. ცვარნამი,
 - დემნა შენგელია,
 - მის. ბოკორიშვილი,
 - ალ. წერეთელი და სხ.
 - დრამის არტისტები:
 - ალ. იმედაშვილი,
 - ტასო აბაშიძე,
 - თამარ ჭავჭავაძე,
 - ნ. კასრაძე და სხ.

მოკლედლები:

- ვ. შარაშიძე,
- ქაშაიაშვილი,
- მარგარიტა გოგლიჩიძე,
- თამარ ნიკოლაძე,
- დ. აკოფაშვილი,
- ნ. სტარჩაკოვა,
- დები თარხნიშვილები,
- და სხ.
- რომანოვი:
- ზ. ბახუტაშვილი-ბელ-სკისა,
- და სხ.

დასწყისი ხალხის 8 ნახ. საათზე.

4-3

განკარგულება

ტვილისის აღმასრულებელ კომიტეტის სამმართველოს განყოფილების გამგისა
30 ივნისი 1923 წ.

თანხმად ტვილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისა, ქალ. ტვილისის ფარგლებში არსებულ ყველა კერძო, საზოგადო თუ სახელმწიფო საჯარო სამრეწველო წარმოებათა პატრონებს და გამგებს ევალებათ დღიდან ამ განკარგულების გამოქვეყნებისა სასწრაფო წესით მოიყვანონ სრულ წეს-რიგში თავიანთი საჯაროების და დაწესებულებების წარწერები (ვიგესკები) შემდეგის დაცვით.

1. ყოველ საჯარო-სამრეწველო აუცილებლად უნდა ქონდეს წარწერა, რომელიც შეეფერება ვაჭრობის სახეს.
2. ყოველი საჯარო-სამრეწველო ძირითადი წარწერა უნდა იყოს აუცილებლად ქართულ ენაზედ. დამატებითი წარწერები შეიძლება იყოს იმ ენაზე, რომელიც სურს წარწერის პატრონს.
3. წარწერების შექმნა და გამოცემა აუცილებლად უნდა დამთავრდეს ა. წ. 1 აგვისტომდე. ვაჭარ-მრეწველნი, რომლებიც თავის დროზე არ ასრულებენ ამ განკარგულებას, მიცემულ იქნენ ბიან პასუხის გეგმაში აღმინისტრაციული წესით.

ტვილისის მ. გ. მილიციის უფროსს ევალება ამ განკარგულების სწორედ ცხოვრებაში გატარება სამილიციო რაიონების უფროსების საშუალებით.
ტვილისის აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილების გამგე, პრეზიდიუმის წევრი თაქაიშვილი.
განყ. აღმინისტრაციული ნაწილის უფროსი გ. ახვლედიანი.

„ფილიყოს განწყობილი თავის ეროვნულ თვისებებთან.“
„ქალაქში არ არის არც ერთი წარწერა დაწესებული და სხვა დაწესებულებებზე, არც „რუსულსა და არც სხვა რომელიმე ენაზე.“
„დაწესებულებებში და ორგანიზაციებში კი „არ არის არც ერთი გასული ქალაქი, რომელიც ქართულ ენაზე არ იყოს დაწერილი.“
„მუშა“ სამართლიანად დასძენს:
„ეს ადგილი უმჯობესად გაკვირვებას გამოიწვევს მრავალში.
რაშია საქმე?
ავტორი ისე წერს ამას, რომ თითქოს უფროსი: უფროსი ქართულში ყველაფერი ქართულ ენაზე სწავრობესო.
რა საქმეა ამის შესახებ აქ წერა და ისეც ასე ორკუთხულად, რომელ ენაზე უნდა

იყოს მამ ქართულში საქმის წარმოება, ან წარწერები თუ არა ქართულ ენაზე?
ან რას ნიშნავს სიტყვები: „მე არ მინახავს ჯერ ქალაქი, რომელიც უფრო პატრიოტულად ყოფილიყოს განწყობილი თავის ეროვნულ თვისებებთან.“
რაშია არის ვითომ ასე პატრიოტულად განწყობილი? იმიტომ რომ ქართულად ლაპარაკობენ?
ქართული ქართველი მუშებისა და გლეხების რევოლუციონური ცენტრია. მათი ენა არის ქართული და, რა თქმა უნდა, ქართულად ილაპარაკებენ.
ამის გამოტანა ვაჭრების ფურცლებზე არის ის სლოგანი უზრგელოდობა ან და მიუტყველებელი გაფრთხილებლობა პირველიც და მეორეც მზანშეუწონელი გამოსვლა.“

როდემდის?

საფრანგეთი უკვე დაეპატრონა გერმანიის უდიდეს ოლქს. რურში მცხოვრებნი, 5 მილიონი სული, ოკუპანტების რეჟიმს განიცდიან. საფრანგეთი ხელს არ უშვებს რურის ოლქს, სანამ გერმანიის არ შეასრულებს სარეპარაციო ვალდებულებებს. გერმანიის მთავრობა ქრისტიანიზმის ფილოსოფიის მტკიცედ იცავს და სახელმწიფო დებულებად მიუჩნევია „არა წინააღმდეგობა ბოროტისა“. რურის ოლქის მუშათა კლასმა იცის, რომ ბოროტების არა წინააღმდეგობა აბსოლიუტური ბოროტებაა და კიდევ მიმართავს გაფიცვებს. რურის მუშების ძალა სუსტია. საფრანგეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ.
ცხადია, საფრანგეთის თარეზ ვერ შეუძლია ინგლისის პოლიტიკის მესვეურნი. მათვის მიუღებელი იყო გერმანიის ჰეგემონობის ზრდა, რომელიც მძლავრ კონკურენტად მოგვლინა ინგლისს, მაგრამ მისთვის მიუღებელია საფრანგეთის გაძლიერება. როგორი ორკოფული, ბუნდოვანი და გაურკვეველი არ უნდა იყოს ინგლისის პოლიტიკა, იგი მაინც არ შეიძლება არ ისახავდეს მიზნად საფრანგეთის გაძლიერების შესუსტებას, ხოლო გერმანიის დაპყრობის მდგომარეობაში დარჩენას.
ორივე ერთად, როგორც საფრანგეთი ისე ინგლისი, გერმანიის დაპყრობის მიზნად ისახავენ ამ უკანასკნელის დაკეცვას, განადგურებას, მათ შორის წინააღმდეგობა იწყება ნადავლის მითვისების დროს, რაც გერმანიისათვის რა თქმა უნდა, სულ ერთია.
გერმანიის მრეწველობის, ამავე დროს მომხმარებელიც იყო. გერმანიის ამოცილება ევროპის ეკონომიური ცხოვრებიდან, მისი ჩაყენება საოკუპაციო

პირობებში, ანგრევს არა მარტო გერმანიის მემკვიდრეობას, არამედ ევროპისაც.
როდემდის შეიძლება გაგრძელდეს ასეთი პოლიტიკური და ეკონომიური წინააღმდეგობანი? როდემდის შესძლებს გერმანიის ასეთი უდიდესი ექსპერიმენტის ატანას?
დღევანდელი ხელისუფალი გერმანიისა „პასიურ წინააღმდეგობას“ უწევს თავდამსხმელებს, ე. ი. არ უწევს რეალურ წინააღმდეგობას. ასეთი მდგომარეობის დიდხანს შენარჩუნება თუ შეუძლებელია გერმანიის ხალხის მიერ, აგრეთვე უკუძღვებელია დიდხანს იმ ურთიერთობის დარჩენა, რომელიც არის საფრანგეთსა და ინგლისს შორის გერმანიის საკითხის მიმართ. უნდა ვიფიქროდ, რომ თანდათან მზადდება ნიადაგი ინგლის-საფრანგეთის კონფლიქტისათვის.
როგორც დეპუტები ვადმოგვცემენ უკანასკნელი მოლაპარაკება ინგლისსა და საფრანგეთს შორის კონტრიბუციის საკითხის შესახებ სრულიად უშედეგოდ დასრულდა, საფრანგეთი იმდენათაც კი გათავგებდა, რომ რურის საოკუპაციო ხარჯი სურს მოკავშირეთა საერთო ხარჯზე იანგარიშოს, რის შესახებ თემა პალატაში დეკონსორი აცხადებს, რომ ინგლისის მთავრობას ამ საკითხზედ ჯერ არა აქვს გამოთქმული თვალსაზრისი. ეს დიპლომატიური პასუხია, რომელიც მიზნად ისახავს საფრანგეთთან არ გაართულოს ურთიერთობა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ინგლისის პოლიტიკური წრეები სიამოვნებით არ ისმენენ საფრანგეთის ასეთ პრეტენზიებს.
ცხადია არსებული მდგომარეობის დიდხანსობით შენარჩუნება შეუძლებელია.

პროსა

ამას წინათ ვაზ. „ზარია ვოსტოკში“ დაიბეჭდა ვინმე ი. კუქუშინის კორესპონდენცია ქართულიდან. ავტორი თითქოს ვაკვირებით აცხობებს მკითხველებს, რომ ქართულში ყველაფერი ქართულათაა და ყველა ქართულად ლაპარაკობს. ამ წერილმა ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რასაც ყურადღების აქცევს ვაზ. „მუშა“ (№ 181), რომელსაც მოყავს ხსენებული წერილიდან შემდეგი ადგილი:

„საღამომობით სურათი იცვლება, „ქალბატონები“ და ახალგაზრდა „ბატონები“ გაქათვითებულ ტანსაცმელებში გამოდიან საღამურზე, რომელიც არის ერთადერთი შესაქარები ადგილი, ლაპარაკობენ მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზე. თუმცა აქ ყველაფერი ქართულია, მე კიდევ არ მინახავს ქალაქი, რომელიც უფრო პატრიოტულად ყო-

ინტერ-ნაციონალი

რუსეთი და საფრანგეთი.
მოსკოვი. 25 ივნისი. საფრანგეთის საჯარო მისია პარიზს ბრუნდება. მისიის თავმჯდომარემ დიუვერემ როსტას თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მას მიაქვს რუსეთიდან ხეტყის და ხორბლის გატანის პირობების პროექტები. ეს პროექტები განსახილველად გადაეცა საფრანგეთის მთავრობას. დღევანდელი მორიგ ამოცანას შეადგენს—აიძულოს მთავრობა იცნოს, თუ გინდ დეფაქტო, საბჭოთა მთავრობა და გამოგზავნოს მოსკოვში ოფიციალური საჯარო წარმომადგენელი. ხელის კონკრეტული რუსეთში დღიდან შეუწყობს ნების ამას, რადგან ნავთის საკითხი საფრანგეთში პირველი მნიშვნელობის საკითხია. ახლანდელი მდგომარეობა, როცა საფრანგეთი საქართველოს იღებს (?) და ამერიკიდან აუტანელ მდგომარეობაში ადგებს მას, თუ ამ სახელმწიფოებთან საფრანგეთს კონფლიქტი მოუვიდა. დიუვერემ დარწმუნებულა, რომ მისია შეასრულებს დანაპირებს, რადგან მას მხარს უჭერენ ფართე საზოგადოებრივი და კომერციული წრეები.
დღევანდელი ნაწილი რჩება მოსკოვში. საიდანაც გაემგზავრება ბაქოსა და თურქესტანში ნავთის სამრეწველოების დასათვალისწინებლად.

საჯარო ურთიერთობა საფრანგეთთან
პარიზი. 25 ივნისი. საფრანგეთის სენატის უკანასკნელ სხდომაზე სენატორი დე-მონჟი შეეკითხა მთავრობას, ფიქრობს თუ არა ის მიიღოს მონაწილეობა სრულ-რუს. სასოფლო გამოფენაზე და განაცხადა, რომ მას სასარგებლოდ მიაჩნია მომზადდეს ნიადაგი რუსეთთან ურთიერთობის განახლებისათვის, რასაც დაეინებით მოითხოვენ საფრანგეთის ყველა დიდ ქალაქების საჯარო პალატები. დე-მონჟის განცხადების თანახმად, საბჭოთა მთავრობის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მტკიცდება და საკითხი საფრანგეთს და რუსეთს შორის საჯარო ურთიერთობის შესახებ საბოლოოდ უნდა გადაწყდეს, ამასთანავე ერთად რუსეთში მიმავალ კომერსანტებს უნდა გაეწიოს სათანადო დახმარება.

ვაჭრობის მინისტრმა უპასუხა, რომ მთავრობას არ მიუღია მიპატეება გამოფენაში მონაწილეობის მიღების შესახებ, მაგრამ სრულ თავისუფლებას ანიჭებს ფრანგ-კომერსანტებს იმოქმედონ და მოუკიდებლად.

რუსეთი და ამერიკა.
ნიუ-იორკი. 25 ივნისი. „ნიუ-იორკ-ჰერალდ-ში“ მოთავსებული ამერიკის საჯარო დეპარტამენტის განცხადება: „არავითარი შეთანხმება და ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთთან ამერიკის მთავრობას არ დაუდგია, მაგრამ ვაჭრობა რუსეთთან მუდამ თავისუფალი იყო. ამერიკის მთავრობა არ ეწეოდა და ხელს არ უშლიდა კერძო პირების და ფირმების ვაჭრობას საბჭოთა რუსეთთან. ამერიკის ბევრ ქალაქებში მოქმედებენ რუსეთის ოფიციალური და ნახევრად ოფიციალური ორგანიზაციები—„ცენტროსოფი, არკოსი და სხვები.“

ლოზანის კონფერენცია
ლოზანი. 26 ივნისი. ოსმალეთის ვადის საკითხი ძლიერ უშლას. ხელს საზოგადოებრივად დადებს და დიდ უკმაყოფილებას იწვევს მოკავშირეთა წრეებში. ლონდონში ფიქრობენ, რომ მძიმე საერთაშორისო მდგომარეობა აიძულებს ოსმალეთს ითხოვოს სესხი. ინგლისის პრესის აზრით კი, უთანხმოება ოსმალეთსა და მოკავშირეებს შორის იმდენად დიდია, რომ შეთანხმება შეუძლებელია თუ ერთი რომელიმე მხარე დათმობაზე არ წავიდა. ამიტომ პრესა დიდ იმედებს ამყარებს მოლაპარაკებაზე რომის, ლონდონის და პარიზის კაბინეტებს შორის. ამ მოლაპარაკებაზე დამოკიდებული თუ როგორ დამთავრდება ვალების საკითხი კონფერენციაზე შექმნილი კრიზისი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ინგლისის ხუთმა დიდმა სამრეწველო ფირმამ, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ანგორასთან კონკრეტების მისაღებათ, უარი მიიღეს.

პარიზი. 26 ივნისი. ლონდონიდან მიღებული ცნობებით კონფერენციამ დასრულა საზოგადოებრივ კრულების გადასინჯვა. ოსმალეთის დღევანდელი განცხადება, რომ ის თანახმა არის მიიღოს ხელშეკრულების ეკონომიური და ფინანსური მუხლები.

კონფერენციის კომისიებს გადაუტყრელი რჩებათ სამი დიდი საკითხი: ოსმალეთის მიერ ვალზე პროცენტების გადახდის კონკრეტების და სტამბოლის ევაუაციის საკითხები. მოკავშირეების დღევანდელი ამ საკითხების შესახებ მოელიან ინსტრუქციებს თავიანთი მთავრობებიდან.

ბერლინი. 27 ივნისი. მოკავშირეები და ოსმალეთი შეთანხმდნენ ფინანსური საკითხების შესახებ. მოკავშირეებმა უარი სთქვეს სამხედრო კომპენსაციებზე. ოსმალეთმა კი უარი სთქვეს მოკავშირე-

საქალაქო ლიტერატურა-მეცნიერული ლიტერატურა

(მისი 25 წლის იუბილეს გამო)

ქართული

ჩვენი მდებარეობა, ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი მოსაწონი და დასაწონი მხარეები აქ (სახ. მუსიკა-გალობაში) არის ჩამარხული და ეს უნდა გვექონდეს ჩვენ, რადგან ჩვენ მხოლოდ ვგრძნობთ და მით ვგრძნობინებთ სავსაც და სხვისაც.

ძეგუ.

(სახალხო საქმე, 1919 წ. № 641) 25 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც სამეგრელო-სვანეთ-აბხაზეთურთ წარსდგა ფართე საზოგადოების წინაშე თავისი მუსიკალური ჰანგების შემხარბიტი ნიშანდობლივობით.

სწორეთ ამ ჩვენ სულიერ კულტურის მთლიანობის ერთ-ერთ მებარად-ტრეთ უსათუოდ უნდა ჩათვალის პიონერი ამ საქმისა ძეგუ ლოლუა. პაპატარაობიდანვე სწავლა-აღზრდის სახსარს მოკლებული, ობოლი, თავისი ბუნებრივი ნიჭით და ხალხურ სიმღერებისადმი საკვირველ აღლოს მეოხებით, ის უახლოვდება სოფლის გლეხური ცხოვრების სინამდვილეს და ამ თავითვე ის უშუალო მონაწილე-მონაზარე ხდება მუსურ-გლეხური დაავადებულ ყოფაცხოვრებისა, მისი ტანჯული დღიონისა.

სწორეთ ამ გარემოებამ ძეგუ ლოლუას მუსიკალურ მოღვაწეობას წარუშლელი დაღი დასვა და მიტომაც არის, რომ ეს მუსურ-გლეხური მოტივი მკაფიოდ გაისმის მთელს მის სამუსიკო ასპარეზზე.

მეგრელი გლეხის ყანის მუშაობის დროს, სამავალითო „ნადური“ ან „ოყსონური“, მეურმის „მა დო ჩემი არაბა“ (მე და ჩემი ურემი), მწყემსური-ამის საუკეთესო ნიმუშებია.

ძეგუ ლოლუა მართლაც პირველი ხალხის შეიქმნა, მისი წილიდან ნაშობი, მისი პირვარამის შემცვლელია.

ამრიგად დ. ლოლუას მუსიკა, როდია მუსიკა „ზეგარდმო ცხებულთა“, მუსიკა „ჩრჩელათათვის“; არა, მისი მუსიკა იგივე მისი თანაზარ-თანა-მომე-მუშა გლეხის მუსიკაა.

დაწყებული 1897 წლ., ვიდრე დღემდე, ის შეუწყვეტლევ ემსახურება თავის მოწოდებას: არ ღარჩინილა განსაკუთრებით დასავლეთ-საქართველოში არც ერთი დაბა-ქალაქი, სადაც ძეგუ ლოლუა ხალხური გუნდით არ გამოცხადებულყო.

მეტია იმაზედ ლაპარაკი, თუ როდენი სიძ-



ნელით, როდენი დუხჭირი ბილიკებით იყო ფენი-ლი მისი სავალი შარავის ეს გრძელი სარბიელი, მაგრამ იმდენად გაიცისკროვნებულა ის თავის ხელობის სისპეტაკეში, რომ მას არ აზინებს დაბრკოლებანი და მედგრად, მეტყვედ განავარძობს ასახულ გეზის განაღდებას.

მთლიან ქართულ ეროვნულ მუსიკის ერთ-ერთ დაუშრეტელ ნაკად-წყაროთ ჩათვლება სამეგრელო თავისი მუსიკა-გალობით, რომელიც ნიჭიერ-კომპოზიტორ მ. ბალანჩივაძის აზრით: „შემქნელია სიყვარულის და ეროტიული სინაზის, მოქანტულობის გამოხატველი ეს კლასიური კუთხეა ქალური სილამაზის“ აი სწორეთ სამეგრელოს მუსიკა-გალობის ეს ერთგვარი ამოცანისებური ნიშანდობლივობაც-გადავივალა, გამოამხურა ძეგუ ლოლუამ.

მან შესძლო ჩასწვდომოდა ერის სულიერ წილს, მის განცდებს, უშუალოდ ეგრძნო მისი ზრახვანი, დამალული სიიდუმლოებანი და შესაფერი აწონ-დაწონვის შემდეგ გადაეშალა ის ფართე საზოგადოებისათვის, ამით მან მთლიან ქართულ სამუსიკო დარგში თავისი შესამჩნევი წვლილი შეიტანა და მით საშუალება მოგვცა ყველა ქართველს ვეზიაროთ ეროვნულ-ხალხოსნურ შემოქმედების ნაკადს.

ცხადია, მისმა ასეთმა სამსახურმა ჰპოვა გ-

მოახილი ერის ბურჯის, მშრომელთა მასის, გულში და დღეს ზემით უმასპინძლებდა.

სალამი ჩვენს იუბილარს!

სალამი მის სპეტაკ იდილს!

დ. ოდიშელი.

დღეა ქალაქი. 28-VI.

კუკუ ლოლუა

(ბიოგრაფიული ცნობები)

ძეგუ ლოლუა დაიბადა 1877 წელს, აპრილის თვეში, სოფ. ქველანში (ზუგდიდის მაზრაში); მამა ადრე მოუკვდა, დედა კი—ქაშალა ჩიქვანიძე განთქმული მეწონეურე, მომღერალი და მომთქმელი ქალი ყოფილა იმ დროისთვის, რომელმაც პირველად ჩაუნერგა ძეგუს პირველ-დაწყებითი სწავლა-განათლება. როდესაც ადრე დაქვრივებულმა დედამ ვერ შესძლო ოჯახის გამკლავება, უფროსი ვაჟი ფოთში გადასახლდა, და უფროსი ქალიც გაათხოვა. პატარა ძეგუ ახალ-გათხოვილ დასთან ერთად გაისტუმრეს სოფ. ხორგაში (ზუგ. მ.), სადაც სიძე მძიმე საშუაოს აკისრებდა მას.

განუსაზღვრელი იყო ძეგუს სიხარული, როდესაც ერთს მშვენიერ დღეს ფოთიდან ესტუმრა უფროსი ძმა, რომელსაც დედის სურვილით უნდა წაეყვანა ძეგუ ფოთში სწავლის მიზნით.

ფოთში ჩასვლის შემდეგ ვედა იმედი, რომელიც ზე ფიქრი და ზრუნვა, არამედ ოჯახურ მოთხოვნილებებსაც ვერ უმკლავდებოდა... რადგან სხვა გამოსავალი არ იყო, ძეგუც მის ბედში მყოფ პატარებთან ერთად გაექანებოდნენ სადგურისკენ ტომრებით და აგროვებდნენ საბარკო ვაგონებიდან გადმონატვირთ სიმინდის და ბრინჯის მარცვლებს, ჰრეცხდნენ, აშრობდნენ და ჰყიდდნენ.

შემდეგ ის შედის საშუალო საღვთობის სადაც კეთილდობა ნავთის-ქვებები „ესტერნიები“ და ეძლეოდა დღიურად ექვსი შაური. აქ შეისწავლის ზენიკალის ხელოვნებას, უბერავს საბერეველს „განოსს“, რომელშიაც ახურებდნენ და ქედადენენ ქვებებისათვის საჭირო ლურსმებს, როდესაც ფოთში საშუაო გავთავდა, ძეგუ გადადის ქ. ბათომში პირველად ქერო საფიქრო სხელოსნოში, იმერ მანთაშვილს, შემდეგ „რისტერის“ და ბოლოს „როტშილდის“-ქარხანაში, რადგან მუშები აქ გაცილებით მეტ ფასს ლეზულობდნენ. აქ ფიზიკურად დაშავების შემდეგ ის მიემგზავრება ისევ ქ. ფოთში. დედამ, რომელსაც მისთვის თავდაპირველადვე სასულიერო გზა ქონდა

არჩეული, განსაკუთრებით ფიზიკურად დაშავების შემდეგ, იქონია მასზე გავლენა და 1891 წ. ძეგუ აახლეს გურია-სამეგრელოს მოვდელ-მთავარ გრიგოლ დადიანს, რომელსაც მამის ყველა არჩეული შესამჩნევი მგალობელთა გუნდი, სადაც მონაწილეობდნენ ა. დუმბაძე, დ. ჭალაგანიძე, გ. ჩიქოვანი, ალ. გელაძე და სხვ.

ძეგუ, რომელსაც თავდაპირველად ემწიროდა განსაკუთრებული ალღო გალობა-სიმღერებისადმი, იგზავნება აქედან ჯერ ხობის მონასტერში, სადაც 6 თვის მეკადინეობის შემდეგ ასრულებს სწავლას. შემდეგში თვით ახერხებს გაგზავრებას ახალი ათონის მონასტერში სლავიანურის შესასწავლად და ბოლოს დიდი ვაი ვაგლახის შემდეგ აქედან გადაიყვანება პიკუნდაში სადაც 13 თვის შემდეგ ასრულებს სწავლას. დაბრუნდა რა ფოთში, ძეგუ გაწესებულ იქნა ს. კოკში (ზუგ. მზ.). ამ სოფელში ყოველ მას მეტის-მეტად ხელი შეუწყო სხვა და სხვა კუთხის ხალხურ ხნე-ჩვეულებას, სიმღერა-გალობას გასცნობოდა; მისი მასწავლებლები იყვნენ დ. ჭალაგანიძე და გ. დგებუაძე. ამ რიგად ის თანდათან გაწვრთნილი თავის ხელოვნებაში 1897 წელს უკვე იმდენად მომწიფდებოდა, რომ პირველად გეასმენს ქუთაისის თეატრის სცენაზე „მეგრულ-ხალხურ მომღერალთა გუნდის“ სახელით მეგრულ-აბხაზურ-სვანურ სიმღერებს.

დაწყებული ამ დროიდან, —დღემდე ძეგუ ლოლუა განავარძობს ამ საშვილისშვილო საქმეს ყველა-ვინდებური სიამამით და გულ მოადინებით.

კორ. 56: „ტრილიისა და მოთქმისაგან კიდე პლარა საქმე ჰქონდა: ტრილიითა მინდორი მტკვრად შექნა და მოთქმითა მთა გაავაჯა.“

213: „მე ვისის სისხლისა ნაცვლად ჯეონსა ვადენ მისისა მტერისა სისხლთაგან და ჩემთა თვალთაგან. თუ ათასის ჯეონისა ოდენი სისხლი დამღვარო.“

შოთა 731: „ვერ გადავიხდი ცრემლთა მისთა ჯეონით თვალთა მინდნეს.“

813: „სდის ცრემლი თვალთაგან მზგავსად დილაჯის დენისად.“

830: „დიჯლადცა კმარის მას რომე თვალთაგან ცრემლი სდენია.“

ბაგრატ IV-ის ისტორიკოსის ჰქონია უტყუარი ცნობები შესახებ ერთ ისტორიულ შემთხვევისა, რომელიც მოჰხდა ჯეონის ნაპირებზე. მემბრანინე სწერს (ქ. ცხ. 234): „გარდაიცვალა მეფე ბაგრატ თთვესა ნოემბერსა კდ, ქორონიკონი იყო სებ (+1072). და ამისევე ბაგრატის სიკვდილისა ჟამთა შინა მოიკლა სულტანი (=ალიპ-ასლან) კაცისა ვის-განმე ბერისა თურქისაგან თავის ლაშქართა ხარ-გასა შინა: გაეღო ჯეონი 700.000 კაცითა, გაე-ლაშქრა თურქთა მეფესა ზედა. სამარყანდისა სიხ-ლოესა ციხესა მოადგა და მიუდგა მის ციხისა პატ-რონისა თურქისა—მეგრ, და ვერღარა შეესწრო თურქი იგი ციხესა და დაჭრეს უწყალოდ მახე-ლითა.“

შლოსტრიოთ (ტ. 2, გვ. 643) ეს ასე იყო: ალპ-ასლანი სასტიკად ებრძოდა ქართველებს, რომელთა დაპყრობა და გამაჰმადიანება სურდა. ქართველები მედგრად იცავდნენ თავიანთ მონასტრებს, ამ დროს აუჯანყდა მას თურქისტანი. ქართველებთან ბრძოლა დაავალა თავის შვილს ბალექიშას, თვითონ 200.000 ცხენოსნით გაეჩქარა თურქისტანისკენ. ომის დასაწყისშივე 1072 წელს, ენუქერბოდა—რა ერთ ტყვეს სიკვდილით დასჯით, იმავე ტყვის-მეგრ მოულოდნელად განგმირულ იქნა თვითონ.“

ი. ჯამი. შოთა 371,468,903. ამირ-დარეჯ.

155: „ქიქითა და ჯამთა.“

ია. კოშკი. შოთა 319. ქ. ცხ. 1—234 (გ. XI ს.).

კოშკი წყალყინისანი.“

იბ. მუშა. შოთა 18. ათონ-კრებ 1074 წლ., გვ. 50,255.

ივ. სადაგება, სადაგი. შოთა 136. იგივე სიტყვა გვხვდება კორიდეთის სახარების ბოლო წარწერაში (ჩვენი Оше., 250). ამას ვიდრე ჩვენ განვმარტავთ, ერთი მკვლევარი აწარმოებდა სპარსულ ზოდენ—დან!

იდ. პაშტა. შოთა 406: ძველი პაშტაი ხარა.

ვისრ. 40: პაშტა საქურჭლე, 278: პაშტა წყალი;

ქრ. 2—121: პაშტაი წაავო. ინგ. პაშტა=საკმაო: პაშტა ხანი, პაშტა წყალი, პაშტა გზოა გოთარით.

ასევე ეს კლარჯეთში. ჩვენ ვადარებთ მას: იტალიურს hesta—საკმაო, ფრანგულს baste—კმარა, hantant—საკმაო, თათრ. შესდი=შესდურ, საკმაო, რუს. „ბასტა“ (იხ. ამის შესახებ ჩვენს გამოცემად წერილებში (სახ. გვ. 1910 № 192; ფარსადან გორგ., გმოც. 1896, გვ. 108, ნაშრომი 3, 1910, 7). ყველგან ჩვენ პაშტას განვმარტავთ საკმაოდ. ამის შემდეგ გამოდის აბულაძე, რომელსაც პაშტას შნი-შენელობა არ-ესმის და თარგმნის მას პაწა—ცოტა პატაროდ, და 1910 წლის სახ. გავთვში (№ 181) უყოყმანოდ აცხადებს: პაშტას შესახებ ჯანაშვილს ჩვენ გავუზიარეთ ჩვენი აზრი ერთს (!) კერძო საუბრის დროს, რაც მას დაუსრულებლად შეუტანია ისევ ჩვენ წინააღმდეგ მომართულ წერილში—გითომ დაგვასწრო რაღა! (სახ. გვ. 181). „პაშტასა და სარას შესახებ ჯანაშვილის თავის დღეშიაც არ უფიქრია“ (№ 184).

ასე ლაპარაკობს აბულაძე მაშინ, როდესაც მას ჩემთან პაშტას შესახებ არასდროს ერთი სიტყვაც არ გაუხსენებია და ან რა საჭირო იყო ჩემთვის მისი ლაპარაკი, როდესაც ეს პაშტა მე ჯერ ისევ 1896 წელს განვმარტე „საკმაოდ“, ე. ი. ისე, როგორც მას დღესამომდე ხნარობს ჩემი სამშობლოს (კოცხალი ინგილოფური და ენის ადგმისთანვე ვიცოდი მისი ნამდვილი წნიშენელობა!

ივ. ხარაჯი. შოთა 318, 329. ჩუბინაშვილით სარაჯი სპარს. „შადრეჯანი. მასევე იმეორებს აბულაძეც. 1910 წელს ჩვენ განვმარტეთ (ნაშრომი, 3, 13): რომ სარაჯი არის სვანური და ძველ ქართული სარაჯ, წყარო, რუ, ახრი.

318: „პირსა ბაღჩა და საბანლად სარაჯი ვარდის წყლისა.“

329: „მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა.“

დღეს ჩვენს განმარტებას იმეორებს ერთი დიდი მკვლევარი და, წარმოიდგინეთ, ჩვენ არც-კი გვიხსენიებს. სწერს, ვითომ იგი თვითონ თავის თავად მიხვდა, რომ სარაჯი არის სვან. სარაჯ (?).

ივ. კალამი. შოთა 4, 945, 1270. მარროთ (თექსტები IV, ლექსიკონი) კალამი არაბული ყალამ. აბულაძით (ვეფხ. ტყ., 1914, გვ. 192: კალამი არაბ. კალამ (თუ ყალამ? მ. ქ.). ორივეს შედარება ტყუილია, ვინაიდან ქართ. კალამი არის იგივე ბერძნულ კალამი. შეად. ვ. კაროლიკე ითანესი 1—13: არა მნებავს მელნითა, და კალამითა მიწერად თქვენ-და=σκαζιο νη πρίλως και kalapov.

იხ. კუბა. ტახტრეჯანი. შოთა 1402. ვისრ. 20. ამირ-დარეჯ. 11, 74; ქ. ცხ. 334: ავადმყოფი თამარი წამოიყვანეს კუბითა ტფილისს, ხოლო ავადმყოფი ბეგრატ IV „ტახტით“ წარმოიყვანეს (ქ. ცხ. 234).

იბ. ძი. 510: ვისძი. 68: ვისძი 470: ნეტარძი, 1066: ნეტარძი, 1147: ნეტარძისა, 1183: ნეტარძი ვის. აქ ყველგან ძი არის იგი-

ვე ცა=ცი და უდრის მეგრ. თი (იგივე მნიშვნელობა) და ბერძნულს ei. შეად.: მარკ. 5—14: რაიძი არს=ei niti 8—23 (იქვე: რასაძი ჰხედავს=ei ei ხაძიეი მეგრ.:მა-თი=მეცა, თი-თი=ისი-ცი. ათონ. კრებ. 1074 წლ: 39: თი-თარძი, 60: ვინძი. ვისრ. 220: ნეტარძი. დაბად. 37 14: ვითარძი.

ით. ჩანგი. 101 120, 472, 704.

ვისრ. (ქ. ცხ. იხსენიებს მის გმირებს 1185 წლ თარილით იხ. ზემო), გვ. 452: „პირველ ჩანგი მან (=არაბინმა) მოიგონა, რომე მუნით აქამდინ სასიხარულო სხვა ეგზომ ამო არავის მოუგონია, და მისგან მოგონებულობითა პირველ თვით რაბინს ჩანგობით უხმობდეს.“ ბალავ. 78: ჩანგებითა ქებასა შე-ასხმიდეს.

ქ. ეჯიბი, 141: დარბაზს ეჯიბი შეგზავნა. ქ. ცხ. 294: გზავნიდის (თამარი) ოდესმე. ეჯიბსა (მარ. დედ. ნუსხა 437).

ქა. თამარ „მეფე“ (ხანები 3,4). საქართველოს ისტორიაში ერთად ერთი ქალია ზედწოდებით თამარ მეფე, სხვა მეფე ქალე-ნი იწოდებიან დედოფლებად: საგდუხედ დედოფალი (ქ. ცხ. 111). დინარ დედოფალი (ქ. ცხ. 210), მარიამ დედოფალი (221), ქე თევან დედოფალი (ქ. ცხ. 2—144). მხოლოდ რუსულანია მეფედ ხსენებული, მაგრამ ისიც მისთვის, რომ ჩათვლილია „თამარის ძედ“, სწორია (ქ. ცხ. 34: „მე—62-ე მეფე რუსულან ძე თამარ მეფეთ მეფისა“. მაგრამ მარიამის ნუსხაში (გვ. 565) ამის შესახებაც მხოლოდ ნათქვამია: „მეფე ყვეს რუსულან დასვეს საყდართა სამეფულთა და მიულოცეს მეფობა.“

ქბ. ძე. (ასულის მაგიერ). ხ. 33: სხვა ძე არ ესვა მეფესა მართო ოდენ მარტო ასული. 3. 36: ჩემი ძე (თინათინი), 118: „ასული და ჩემი ძეო (თინათინი).

ქ. ცხოვრება: გვ. 306: გიორგის ძისა თამარისთვის, გვ. 349: „რუსულან ძე თამარ მეფეთ მეფისა“. შავთ. 47: „მამის ძედ არი სამ—გზინ ნეტარი“ (თამარი).

სხვაგან საქართველოს ისტორიის სიგრძელ ძე ასულის მაგიერ არსად არ გვხვდება. ოღონდ შოთა კიდევ ერთგან ასულს იხსენიებს საძეო ქალად. ე. ი. იმისთანა ქალად, რომელიც უნდა დაშთეს მამის სახლში და იყოს მის მემკვიდრედ, სწორედ ისეთად, როგორც გიორგი მესამისთვის იყო მისი „ძე თამარი“ (ქ. ცხ. 306). შოთა ამბობს (6—498) „არს ერთი ქალი (თინათინი) საძეო. არ კიდევ გასათხოველი“

ეს რეალიზაცია ისევ მიგვიყვანს იმ terminus ante mēდ და terminus post-ამდე, რომ „ვეფხის

ტყაოსანი“ არ იქნებოდა დაწერილი არც თამარის მეფობის წინა ხანს და არც მის ხელმწიფობის შემდეგ დროს, არამედ, როგორც შოთაც აცხადებს მე-16 ხანაში, დაიწერებოდა მხოლოდ თამარის სიკოცხლეშივე და ნება-დართული იქნებოდა მის-მეგრ თავის სიკვდილის წინა წლებში, და, მაშასადამე ამავე რეალების და ზემო-აღნიშნულ სხვა სარწმუნო ცნობების მიხედვით არც საწინააღმდეგო რამ უნდა იყოს შოთას თხზულების იმ 1576 ხანაში, რომელშიაც მის წინამორბედებად გამოცხადებულ-ნია მისე ხონელი, იოანე შავთელი და სარგის თმოგველი. ამავე დასკვნამდე მიგვიყვანს თვით შოთას ენაც, რომლის საბადლო არა სჩანს არა თუ თამარის მომდევნო საუკუნეებში, არამედ თვით მე-XIII-სი პირველ მეოთხედშიაც: ამ დროს მწერლების ენა, მაგ. თვით „ვეფხის-ტყაოსნის“ გამგრობებლისა, რუსთაველის ფოლად ენასთან შედარებით ჰგავს რაღაც ჩიქორთულს.

დასკვნა. ა. შავთელი შეაქვებს მხოლოდ თამარს და მის ქმარს დავით სოსლანს. ბ. პოეტე შოთა, თანამედროვე თამარ-დავითისა, ჩვენ მიგვარჩნია ავტორად თხზულებების „თამარიანის“ და „ვეფხის-ტყაოსნის“ რომელთაგან პირველი უნდა გამოქვეყნებულიყო დავითის სიკვდილის შემდეგ, ხოლო მეორე თამარის სიკვდილის წინა-წლებში. გ. სპარსული ანუ ტარციელის ამბავი უნდა იყოს ამბავი უკანასკნელ სელჩუკების ტოროლისა, რომელიც მეფობდა 1177—1194 წლ. ამ ამბავს მოიტანდა ან თვითონ ტარციელი ან გამოგზავნიდა თავის ნათესავს რუსულან დედოფალს შემეფობის თხოვნით. დ. სპარსეთიდან თხოვნა მოვიდოდა საქართველოში მაშინ, როდესაც დავითის მიჯნურის თამარს ქართველი დიდებულები რთავდნენ რუს გიორგის, და იგი თამარის რჩევით და რუსულანის გეგმით წაიძლიერა „ტარიელის“ პირად სანახავად, რომ ერთ-მანეთის დახმარებით გამოაგონ ურთიერთის საქმენი. ე. 1195 წელს ატეხილთ ომი—განზრახული უნდა ყოფილიყო „ტარიელის“ დასახმარებლად, მაგრამ რაზან მისი სიმეტოტლორი მოჰკლეს 1144 წელს, ამიტომ ქართველთა ლაშქარი დაკამაყოფილა შანქორ-განჯას ალბებით და იქ ტოროლის გერ შვილის გამეფებით. ვ. მიზეზად „ვეფხის-ტყაოსნით“ დაწერისა უნდა ყოფილიყო დამტკიცება, რომ საქართველოს ტახტს მეფედ და თამარს ქმრად შეეშენისო მხოლოდ ბაგრატიონი დავითი, მისი მიჯნური.

მ. ჯანაშვილი.

საქართველო

დღეს, საღ. 2 საათ., პარტიის ცენტრალურ კლუბში დანიშნულია მემარცხენე სოც.-ფედ. სტუდენტთა საზოგადო კრება. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

დღეს, საღ. 2 საათ., დანიშნულია ცენტრ. კლუბში მემარ. სოც.-ფედ. ახალგაზრდათა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის სხდომა. წევრები თავის დროზე უნდა გამოცხადდნენ.

პასუხისმგებელი მდივანი.

დღეს, ივნისის 30-ს, დღის 2 საათზე ცენტრალურ ბიუროში (ლორისმელიქ ქ. № 1) დანიშნულია მეოთხე რაიონულ ორგანიზაციის წევრთა განმეორებითი კრება საკონფერენციო საკითხების გა-

სარჩევად. ამხ. დასწრება სავალდებულოა. რაიკომის მდივანი: სირაძე.

დღეს, ივნისის 30-ს საღ. 5 საათზე დანიშნულია მესამე რაიონულ ორგანიზაციის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება პარტიულ ბიუროში (კახეთის მოედანი № 2). განსახილველია საკონფერენციო საკითხები. ამხანაგების დასწრება აუცილებელია.

რაიკომის პ. მდივანი სეფერთელაძე.

გუშინდლისათვის განზრახული 1-ლი რაიონის (მე 11 და 12 სამილ. უბნის) პარტიული ამხანაგების კრება გადადებულია დღეისათვის, ივნის 30, საღ. 7 საათზე. პარტიულ ცენტრ. კლუბში.

დახვარება ასათი უნდა!

ზოგიერთს ჩვეულება აქვს რომ როდესაც მის უფლებას ლახავენ, მაშინ სამართალზე და კანონებზე გაკვირდებიან, მაგრამ როცა თვითონ ლახავს სხვის უფლებას, მაშინ იფიქრებს ყოველგვარ სამართლიანობას და ყოველთვის „მეშანური“ ალაბით ზომავს:

ასეთი მაგალითი მოგვცა სახელმწ. უნივერსიტეტის ექიმს მოქ. ნ. მახვილაძემ. მისი მოვალეობა ავადმყოფი სტუდენტები გასინჯოს და სტუდენტურ ამადმყოფს შინ შესაფერისი დახმარება გაუწიოს. ავადმყოფმა სტუდენტმა რომ მიმართოს რომელიმე ჩვენს პროფესორს გასასინჯავათ, ჩვენის აზრით ისინიც ხელს გაუწვდიან ისედაც წელში გატეხილ სტუდენტობას. ეს თუ ასეთა, მაშინ შინ გაქვს უფლება თუ რა მოვთხოვთ ბ. ნ. მახვილაძეს, რომელიც სპეციალურად დანიშნულია ამასათვის, რომ სტუდენტურ ავადმყოფ-სტუდენტთან მივიდეს, და შესაფერისი დახმარება გაუწიოს.

ოცობედ დღის წინათ ავთ გახდა ტფილისის სახელმ. უნივერსიტ. სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტის მე-3-ე კურსის სტუდენტი აპოლონ ხვითარია. მაშინათვე მივხვით თქვენს უკანასკნელსა სამი დღის შემდეგ მოგვცა საბოლოო დასკვნა, მუცლის სახადა და საავადმყოფოში უნდა მოთავსდეს. მაშინ მივმართეთ სახ. უნივერსიტეტის ექიმს ბ. ნ. მახვილაძეს, რათა გაესინჯა ავადმყოფი და გაეწერა საავადმყოფოში (სტუდენტის საავადმყოფოში უფასოთ მოთავსება შეუძლია მხოლოდ უნივერსიტეტის ექიმს). პირველ დღეს სახლში არ დამხვდა, მაშინ ვთხოვეთ მის ბიძას პირადად გადაეცა ექიმისათვის, ჩვენ თხოვნა (მისამართი დავუტოვე).

მეორე დღეს ისევ მივმართეთ, ავადმყოფობა ძლიერდებოდა, სიცხე თან და თან მატულობდა

მაგრამ უარით გამომისტუმრა, მესამე დღეს მიხრეს, ექიმი შინ არ არისო. შევხვეყნეთ: სტუდენტი სიკვდილის პირზე და სჭირია ბ. ნ. ექიმის მოსვლა.

მეოთხე დღეს ავადმყოფობამ უარეს წერტილს მიაღწია. მივედით ისევ, მაგრამ მაშინაც უარით გაგვისტუმრა. ამხანაგის საშინელი მდგომარეობამ და მასწავლებლის ასეთი უდიერ მოქცევამ წერს გადამიყვანა და დავემუქრე, რომ მივმართავ პროფესორთა საბჭოსა და სწავლა-განათლების კომისიარატი მეთქი. ჩემს მუქარაზე კაბინეტიდან მიპასუხა ბ. ნ. მახვილაძემ „რას მამძღვენ, რომ ვი-რბინოვო.“

მხოლოდ მეხუთე დღეს იკადრა მობრძანება, გასინჯა ავადმყოფი და გაწერა საავადმყოფოში. 20 ივნისის ღამის 12 საათზე დაუდევრობისა მოუვლელობისა გამო ამხანაგი სამუდამოთ გამოეთხოვა წუთისოფელს.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა კარგათ იცნობს სტ. აპ. ხვითარიას. ის იყო ერთი უნივერსიტეტის ახალგაზრდათაგანი ჩვენს წლებში. ხვითარიას დაკარგვით ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაკარგა მეცნიერულ დარგში ერთი მუშაკთაგანი. მე აქ არ შეგვიძლია მის ნაშრომს, რაც თავის დროზე იქნება გამოქვეყნებული, მაგრამ უიმისოდაც კარგათ იცნობს სოც.-ეკონომიური ფაკულტეტი თავის უნივერსიტეტს, რომელიც დღეს დაუდევრობის მსხვერპლი გახდა. ვინ იფიქრებდა, რომ ისევ ჩვენი მასწავლებელი ასეთ გულქვაობას გამოიჩინდა ასეთ სასიკეთლო სტუდენტის მიმართ.

ვახეთის უფრტლებზე არ გამოვქვეყნებდი ასეთს უპატიებელ საქციელს „მასწავლებლისას“, და ან ასეთ საქციელისათვის სეინილისი ქენჯინდეს ბ. ნ. მახვილაძეს.

წ. ლევადა.

ლიარმა სიამოვნებით მიიღო და თხოვნა აუსრულა მის სოფელში მისკლისას გაუმართეს შესანიშნავი გრანდიოზული შეხვედრა: გაუმართეს ბანკეტი, რომელსაც მთელი სოფლის საზოგადოება დაესწრო. აგრეთვე მრავალი გრანდიოზური სიტყვები იქნა წარმოთქმული.

ყოფილი „კრუჟიკი“. 1 ივლისიდან იხსნება ტფილისის „კრუჟიკის“ ბაღში ომში დასახირობულთა კლუბი, სადაც ზაფხულის განმავლობაში გაიმართება ქართული წარმოდგენები. ქართული დრამატული წრის შედგენის შესახებ. ამ ჟამად მოლაპარაკებას აწარმოებენ მსახიობ ა. გუგუშვილთან.

ლოტბარის პარტიისთვის

დიდი ხანია, რაც ჩვენს საზოგადოებას ხმა შეწყვიტოდა დიდი სასიამოვნო ხალხური სიმღერა არ გაუგია.

დღევანდელ მომდგრალთა გუნდის მიერ შესრულებულ სიმღერებს, აშკარად ეტყობა უხელმძღვანელობა.

ეს იმის ბრალია, რომ ჩვენს ქალაქში არ მოიპოვება ლოტბარი, დირიჟორი, ისეთი, რომელსაც ჰქონდეს ლოტბარობის უნარი.

ლოტბარი ამა თუ იმ გუნდისა უნდა იყოს ღირსეულად მომზადებული, რასაკვირველია, მუსიკალურის მხრივ; ზედ მიწვევით მცოდნე თავის ერის, და თუ გნებავთ, სხვა ერის მუსიკისაც; გარდა ამისა პრაქტიკული ცოდნაც უნდა ჰქონდეს, უმთავრესი-კი—ნიჭი ლოტბარობისა.

დღეს, ყოველ ფეხის გადადგამზე, შეხვდებით ხელმძღვანელს (აქ გვულისხმობ როგორც გუნდის, ისე ორკესტრის ხელმძღვანელს). გუნდიც მრავალია, მაგრამ რომ არ იყოს ის სჯობიან.

სწორად ვაიგონებთ:

—რა უხელმძღვანელობა, გუნდი არ გვყავს და თუ არის, მისი მოსმენა არ შეიძლებაო.

—ჩვენ, ქართველებს, მუსიკალურ ხალხს ნუ თუ რიგიანი გუნდი არ უნდა ჰყავდესო.

დღეს რა, იქნება ისეთი დროც დადგეს, დღევანდელი გუნდის მიერ შესრულებული სიმღერები, შემდეგი წლების გუნდთან შედარებით, ბეთოვენის მე-9-რე სიმფონიად მიიღონ.

რამდენიც ხანი გავა, იმდენად ლოტბარების რიცხვიც გამრავლდება, გუნდი თანდათანობით იმატებს, მხოლოდ სიმღერები დაჰკარგავს თავის ელფერს, ორიგინალიობას და შესრულებაზედაც ლაპარაკი ზედმეტი იქნება.

ამას ერთი გამოსავალი აქვს. ეს ის, რომ სახელმწიფოში, სადაც ორი კონსერვატორია, რაგუნდები სამუსიკო სასწავლებელი, ურიცხვი სტუდია არსებობს—მოეწყოს ლოტბართა მოსამზადებელი კურსებიც.

იქ შევიდოდა ყველა ნიჭიერი ახალგაზრდა, ვინც ლოტბრად მომზადებას ისურვებდა.

ამას მე განსაკუთრებით ავნიშნავ, რაც ყველა ვინც ხელს იქნებს ლოტბრად არ ღელბა.

წარმოდგენები

უფრო დიდი დანაშაული მოუტორო ჩვენს სერვატორიებმა მთელი ქალაქის მოსახლეობა რად არ მოუყვიათ სალოტბარო კურსების გაღება, როდესაც სამკოთა მთავრობა დიდად ელოდას აქცევს ხელოვნების გაფორმებას, ნუ თუ წინააღმდეგი იქნებოდა ხსენს კურსების გახსნისა?

როგორც ვაქცობ, სამუსიკო ხელოვნება თავში მდგომთ არა სურთ თავის შეწყენა ცილება ამაზე არც კი უფიქრაათ. გადხელოტა შორს, დაათვალიერონ სკოლები, გუნდები მაშინ იკარგნობენ თავიანთ მიუტყვეველ შეცდომებს ჩემი აზრის სიმართლეს სხვათა შორის დეგი მაგალითიც დასტურებს.

მეუბნა-მოსამსახურეთა ერთ ერთ შენობაში დღევანდელ შენობაში, იმართება, „რეპეტიტორი“ მათი საფარჯიშო ნომერი არის „ნაციონალი“, რომელიც წამების ჯვარზედ ღვს: ეტყობა გუნდს სიმღერების შესწავლის კოლი აქვს, ხმებსაც არა უშავსრა, მაგრამ თუ მძღვანელი არ უყვარათ, მათ რა ჰქნან. სიწყებენ, ხან ისევ მალა-დაბლაც, მაგრამ არ არ გამოდის ყვირილის მეტი. აქ აშკარაა ძღვანელის უფარჯიშობა.

თვით „ინტერნაციონალი“, როგორც მუსიკალური ნაწარმოები გვარიანა კარგად რომ რულდეს, მაგრამ სად ვაიგონებ ასეთ შესრულჯერ-ჯერობით ამით ვათავებ ჩემს აზრს ბაას (წერილს) შემდეგში კი შევხვები იმას, იღვწი ჩვენი ახალგაზრდობა, ნორჩი თაობა ირო და უფარჯის სიმღერის მასწავლებლებს ლოტბარების ხელში, რომლებიც ქუჩაში გასიმღერებთ რყვიან ზავშვებს, საშვილიშვ უბრწიან და ახალგაზრდებნ სმენას.

გიორგი სვანიძე

წარმოდგენი რეპარტიის მიხარ

ამხ. რედაქტორი!

გთხოვთ თქვენ გახეთში ადგილი დაუშვდეთ განცხადებას; ჩვენ დღემდე არავითარი ლიტერატურული პარტიის არ გვეკუთვნოვით და ვდით რომ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალსარველოეციო პარტია არის ქვემარტილი დი მშრომელი ხალხის ეროვნულ-სოციალისტინტერესების. ამიტომ სულთ და გულთთდებით ამ პარტიას და ვემსახურებით მის იდგანოროცილებას.

სტუდენტები: ნიკოლოზ ა. მალაფერი გალაქტიონ გ. ბრეგაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

სხვა და სხვა

ავტომობილების მრეწველობა იტალიაში. 20—30 აპრილამდე მილანში მოწყობილი იყო იტალიის მრეწველობის გამოფენა, გამოფენის ყველა სხვა განყოფილებებს შორის უმთავრესი ადგილი ეჭირა ავტომობილების განყოფილებას, როგორც თავის სიდიდით, ისე მრავალსახიანობით. ამ განყოფილების ორგანიზაცია, ექსპონატების რიცხვი და ღირსება იტალიის ავტომობილების მრეწველობის მდგომარეობის საკმაო სურათს იძლევა. ავტომობილების განყოფილების ასეთი განსაკუთრებული ადგილი გამოფენაზე, დამატებითი იტალიის ავტომობილების მრეწველობის ინტენსიური განვითარებისა უკანასკნელი წლების განმავლობაში; სტანდების სამი მეოთხედი წარმოადგენენ ეროვნულ წარმოების ნიმუშებს.

ავტომობილი იტალიაში ამ ჟამად არის მისოსისა და ვადანდის მთავარი საშუალება, ის არის აგრეთვე ინგლისში, საფრანგეთში, ესპანეთში და ამერიკაში ვასატან საქონელი ერთ-ერთი ძირითადი საგანი.

აგრეთვე ფართოდ იყო წარმოდგენილი გამოფენაზე მოტოციკლეტების წარმოება, აქაც სჩანდა ტენიკისა და ესტრეტის შეთანაბრება.

უნდა აღინიშნოს, რომ იტალია ავტომობილების და მოტოციკლების საერთაშორისო წარმოების ავანგარდში სდგას, მას კონსტრუქტორები დიდი რიცხვი ჰყავს, რომელთაც ქვეყნის პირობების მიხედვით, ანგარიში უნდა გაეწიათ ცუდ გზებისა და მთის ბუნებისათვის, ამიტომ ავტომობილების ყოველგვარ გზებისა, აღმართებისა და დაღმართების

თვის არის შეფარდებული ღამ დარგში იტალიელებმა არაჩვეულებრივ შედეგებს მიაღწიეს.

უმუშევრობა და ცხოვრების სიძვირე ინგლისში. „Ministri of Labour Ciazette“-ს ცნობებით უმუშევრობა რიცხვი ინგლისში აპრილის უკანასკნელ კვირაში დაედა 1.269 ათას კაცამდე, წინა კვირის 1,289 ათას კაცის წინააღმდეგ; 1922 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში უმუშევრობა რიცხვი შეადგენდა 1.699 ათას კაცს. უმუშევრობა რიცხვი ერთი წლის განმავლობაში საკმაოდ შემცირდა; ეს შემცირება უფრო შესამჩნევი იქნება თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ 500 ათასი კაცი ამთავრებს სკოლებს და ყველა ისინი შრომის გზაზე შედგებიან. უმუშევრობის პროცენტი ტრედ უნიონების წევრებს შორის იმავე თვის ბოლოსათვის შეადგენს 11,3 პროცენტს აპრილის მესამე კვირის 12,3 პროც. წინააღმდეგ; წარსული წლის აპრილის დასასრულში უმუშევრობის პროც. უდრიდა 17,0. იმავე ვახეთის ცნობებით, ცხოვრების სიძვირე ინგლისში 1-ლ მაისისათვის 70 პროც. იყო მხოლოდ მეტი იმაზე, რაც იმამდე არსებობდა; ცხოვრების ეს სიძვირე ა. წ. 1-ლ აპრილისათვის გამოიხატებოდა 74 პროც. 1922 წ. 1-ლ მაისისათვის კი ის შეადგენდა 81 პროც.

ამასთანავე სურსათის ფასები, რძეზე და კარაჭზე ფასების დაცემის გამო, 62 პროცენტით მეტია ომამდე არსებულ ფასებზე. მეორეს მხრივ შექარმა 3 მეოთხედი პროც. აიწია გირფანაზე აპრილის ფასებთან შედარებით.

რივ ორგანიზაციებმა. შეხვედრას მეტათ თბილი ხასიათი ჰქონდა. წარმოდგენის გათავების შემდეგ იუბილიარის პარტიისაქცემად გაიმართა ბანკეტი, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო და ბევრი საგულისხმეო სიტყვები წარმოითქვა. იუბილიარის ჩამოსვლისათანავე ჟიათურაში, მახლობელ სოფელ რგანიდან ჩამოვიდნენ გლეხების წარმომადგენელი, რომელთაც იუბილიარს სთხოვეს მათს სოფელში მისვლა, რომელი მიწვევაც იუბი-

იუბილიარები

ჟიათურა. კვირას, 17 ივნისს, ჟიათურის თეატრში გადაუხადეს დიდის ამბით 30 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილე მსახიობ-დრამატურგს შ. დადიანს. ამ საღამოთი წარმოდგენილი იყო მისივე პიესა „გუშინდელი“, რომელშიც იუბილიარი ასრულებდა მახარის უფროსის გერენგლის როლს. წარმოდგენის გათავებისას ვიამარა მილოცვები იუბილიარს მთავრების ფულით საჩუქრები, ჯაყელმა, ი. ვარაზაშვილმა, ს. ლევადამ, და საზოგადოებ-

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა

სამმართველო

ავტომობილის

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერატიულ ორგანიზაციებს, კერძო პირებს და ცალ-ცალკე ბაღების მებატრონეთ,

რომელნიც დაინტერესებული არიან ხიხისა და ბოსტნეულის გახმობაში, რომ მიმდინარე სეზონში ამიერ-კავკასიის ფარგლებში განზრახულია მოეწყოს

ხილისა და ბოსტნეულის გახმობა

მატარებელის, ექსპლოატაცია რომელსაც ყოველგვარი საქარხნი მოწყობილობა ექნებ ნელდი მასალის მექანიკურად გადაამუშავებისათვის (ალუბარა, ჭერამი, უნაბი, ატამი, ვაშლი, კარტოფილი, სტაფილი და სხვა ხილი და ბოსტნეული) გამხმარ პროდუქტებში.

- 1) ნელდი მასალა შეიძლება ჩაბარებულ იქნეს გადაამუშავების ღირებულების გადახდით, მაგრამ არა უმეტეს ერთი მანეთისა თვითელ ფუთ გამხმარ პროდუქტებზე; იმ ხილისა და ბოსტნეულისათვის, რომელთა ვასავალის პროცენტი დიდაა, გადაამუშავების ფას შეიძლება თანაბრად შემცირებულ იქნეს.
- 2) გადაამუშავების ფასი შეიძლება გადახდილ იქნეს თანაბარი ღირებულების ნელდ მასალით ან ნაწილობრივ ფულით და ნელდი მასალით.
- 3) შემკვეთლებს მთელი რიგი შეღავათებისა ეძლევათ ტარანსპორტიროვისა, შენახვისა, რეალიზაციისა და ფრახტის გადახდაში, აგრეთვე ეძლევათ სესხი გადაამუშავებულ პროდუქტის გირაოს ქვეშ.
- 4) ტარის შექმნის სიაფსათვის, რომელიც დამზადებულ პროდუქტის ჩასაწერად არის საჭირო, ხილისა და ბოსტნეულის გახმობი მატარებელი ყუთების დასამზადებლად ღებულ ლობს შეკვეთებს კლიენტებისათვის ხელსაყრელ პირობებში. მატარებელი იღებს შეკვეთებს აგრეთვე მორისა და ფიცრების დასახერხავად, ხმელ ხელსაწყოების რემონტისათვის და ხორბულულ პროდუქტების დასაფქველად; ყველა ეს საშუაოები შესრულებული იქნებ მატარებლის დამხმარე მოწყობილობის საშუალებით; ყველა იმათ, ვისაც სურს მატარებლი სარგებლობა, წინადადება ეძლევათ თავის დროზე შეიტანონ განცხადება, რადგან შეკვეთების შესრულება ხდება რიგის წესით და იმ რაიონების შეთანხმებით, სადაც მატარებელმა უნდა იმუშაოს.

ცხოვრებისათვის უნდა მიმართოთ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს, მისი ნომიერ სამსახურს (საღაღრის ქ. № 1, მე-2 სართული, ოთახი № 57).